განკარგულება:**g-135. 135241523**
თარიღი:**31/05/2024**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის

ანგარიში მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის, პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის” 67-ე და 85–ე მუხლის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ცნობად იქნეს მიღებული მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ თანახმად დანართი №1-ისა.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი